


2020 წლის ივლისში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა¹ 125 ლარი შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - 216 ლარი. საოჯახო ტიპის სასტუმროების² საშუალო ფასმა ივლისში 73 ლარი შეადგინა.

5-ვარსკვლავიანი სასტუმროთა საშუალო ფასმა ივლისში 347 ლარი შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 435 ლარი შეადგინა, კახეთში - 357 ლარი, აჭარაში - 321 ლარი, ხოლო მცხეთა-მთიანეთში 202 ლარი.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2020 ივლისი, ლარი)



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი³ 2020 წლის ივლისში, 2020 წლის ივნისთან შედარებით, 2.7%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი შემცირდა 2.6%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები გაიზარდა 6.8%-ით.

2020 წლის ივლისში, 2019 წლის ივლისთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 14.2%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 15.7%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 2.7%-ით შემცირდა.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2020 ივლ/2020 ივნ	2020 ივლ/2019 ივლ	2020 ივლ/2020 ივნ	2020 ივლ/2019 ივლ	2020 ივლ/2020 ივნ	2020 ივლ/2019 ივლ
კახეთი	-1.0%	7.8%	1.2%	1.1%	-1.5%	9.3%
იმერეთი	2.4%	10.9%	4.5%	4.8%	0.8%	14.9%
გურია	10.7%	-38.1%	7.6%	3.6%	14.0%	-63.0%
ქვემო ქართლი	0.0%	-1.3%	0.0%	-10.8%	0.0%	2.1%
აჭარა	1.6%	-26.4%	0.6%	-29.3%	3.7%	-21.6%
რაჭა	12.0%	31.5%	18.8%	285.0% ⁴	11.2%	15.0%
შიდა ქართლი	-2.4%	-4.0%	0.0%	-6.0%	-3.7%	0.0%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-2.0%	-8.5%	-3.9%	-20.5%	-0.7%	-3.6%
სამცხე-ჯავახეთი	4.9%	-23.5%	14.7%	-26.6%	2.4%	-23.0%
მცხეთა-მთიანეთი	-4.8%	-5.3%	-9.9%	-17.7%	-1.4%	2.1%
თბილისი	-6.7%	-11.9%	-7.3%	-12.8%	11.2%	7.9%
სულ ფასების % ცვლილება	-2.7%	-14.2%	-2.6%	-15.7%	6.8%	-2.7%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2020 წლის ივლისში, 2020 წლის ივნისის ფასებთან შედარებით და 2019 წლის ივლისის ფასებთან შედარებით.

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების მერქვა მოხდა მემთხვევითი მერქვის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან

დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულს გამოანგარიშებით. 2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საქრთაპორისო საავტოტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით. 4 რაჭაში წლიდან წლამდე 285%-იანი ზრდა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ამ რეგიონში ამ ტიპის მხოლოდ ერთი სასტუმრო მდებარეობს.